


№ 1

ეკონომიკური-კვირეული საბრძოლო ჟურნალი

№ 1

55777
FL 11350



„საბრძოლო“ გამოსვლა თბილისში.





ქართული
საბჭოთაო
დემოკრატიული
პრესა

რედაქციისაგან.

ბევრი სადავოდარბო და სახათაბალო საქმეები გაგვიჩნდა, ქვეყანა არეულ-დარეულია და ამ არეულ-დარევის დროს ბევრი გაიძვერა და უნამუსო აკეთებს თავის ბნელ საქმეს, ქვეყანა და ქვეყნის საქმე მათ ფეხებზე ჰკიდიათ. ამ დარგის ხალხში ადამიანური გრძობა იმდენათ დაიკარგა, მათ გულში სიყვარულის ნაპერწკალი იმდენათ მიიფერფლა, რომ თუ ხშირ-ხშირათ მაგარი კეტი არ ვდრუ-ზეთ ისე ვერც „მათრახს“ და ვერავითარ ძალას ვერ შეუძლია მათი გონებაზე მო-ყვანა. ვისაც „ეშმაკის მათრახი“ ვერას დააკლებს ჩვენ მას „ხათაბალას“ მათრახით და კეტით მოვსტებთ წელს.

სწორედ ამ მიზნით გამოდის ჩვენი ჟურნალი „ხათაბალა“. შეიძლება ბევრმა სთქვას რაღა საქმე იყო „ეშმაკის მათრახის“ შემდეგ მეორე იუმორისტულ ჟურნალის გამოცემა, მაგრამ მოეხსენებთ მათ, რომ დღეს იმდენი სამათრახო და მოსაბეგვი ხალხი გაგვიჩნდა, რომ მარტო „ეშმაკის მათრახს“ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ყველას პასუხი გასცეს, ამიტომ არა თუ ერთი, კიდევ ორი ჟურნალი რომ გამოვიდეს ისიც საქმეა.

თუ „ეშმაკის მათრახს“ ვინმე გამო-ჩა, ან რბილათ გაუქნია კული, „ხათაბალას“ კეტი და მათრახი მას არ ასცდება.

„ხათაბალა“ ყველგან იქნება, ის ყველა დაწესებულების კარებში შეიჭვრეტს და ვაი მას თუ იქ ვინმე სა-კბილო იმოვნა.

„ხათაბალა“ არც ქუჩაში დაინდობს კეტ დასარტყამს, მას ვერც მილიცია შე-აშინებს და ვერც ქედის რაზმი.

ვაი მას, ვინც „ხათაბალას“ გადაეკიდება!!

ის არავის არ დაინდობს, არც მტერს არც მოყვარეს, არც მეგობარ-ამხანაგს.

ვაი მას, ვისაც „ხათაბალა“ შეამჩნევს არა ადამიანურსა და გაიძვერულ მოქმედებას, მისი მათრახ-კეტი მოანატრებს „ეშმაკის მათრახსაც“ და ძველებურ „ნაგაიკასაც“.

ასეთია „ხათაბალას“ მიზანი და რამდენათ ის ამას პირნათლათ შეასრულებს ამასაც მალე დავინახავთ, ის კი ეჭვს გარეშეა, რომ თითონ ის კეტითა და მათრახით საცემი არ გახდება.

სარედაქციო კოლეგია.

„ხ ა თ ა ბ ა ლ ა“

(ვითომდა მეთაური)

ჩვენი დროის ლოზუნგი—ხათაბალაა. ხათაბალაა, მაშ რა ჯანდაბაა? მეტი ხათაბალა რაღა იქნება? ჯერ მთელ ქვეყანას ომი მოედო და მუსოზ ხალხი. ხან ერთი ხახელმწიფოს ჯარი იმარჯვებდა, ხან მეორესი. ხან რუსები დამარცხდებოდნენ, ხან ფრანგები, ხან ინგლისელები, ხან გერმანელები.

როცა გამარჯვებული ჯარი ყვიროდა „ურას“, დამარცხებული სტიროდა და მოსთქვამდა: ვაი, ვაი, ეს რა ხათაბალაში ჩავარდითო.

ჯარი ომობდა და ხალხს შიმშილისაგან კუჭი ეწოდა.

ჯარს თეთრ პურს აქმევდნენ და ხალხს ამერიკიდან მოსულ საპონის მგზავს სუხარსა.

სახელმწიფოთა შორის ბრძოლა და ხათაბალა გათავდა და დაიწყო უარესი ხათაბალა მორიგების დროს პარიზის კონფერენციაზე.

აბა ნამდვილი ხათაბალა ეს კონფერენცია იყო!

მობრძანდა კონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი და მოიტანა 14 ხათაბალა, უკაცრავათ... 14 მუხლი ზავისა.

დაიწყო კონფერენციამ ამ მუხლების გარჩევა, მაგრამ ხათაბალას რა ეშმაკი გაარჩევს? ხათაბალა ხათაბალათ დარჩა.

არც ინგლისელები დარჩნენ კმაყოფილნი კონფერენციით, არც ფრანგები, არც გერმანელები... იტალიამ ხომ ნამდვილი ხათაბალა ასტეხა. ნამდვილი სახათაბალო იტალიისათვის შეეკმნა ფიუმეს საკითხი. უიმე! ფიუმე უნდა ჩამომართვათო? იყვირა იტალიამ: არავის დავანებებთო.

ვილსონმა სთქვა მაშინ: ამ ხათაბალას ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორეო.

ჩაჯდა გემში და გასწია ამერიკაში.

რუსეთის ხათაბალამ ხომ ყველა ქვეყნების ხათაბალას გადააქარბა. აქ ძალდი პატრონს ვერ სცნობს და პატრონი ძალღს.

რუსეთის ხათაბალიდგან თავის ასაცდენად რუსეთის იმპერიას ჩამოშორდნენ: ფინლანდია, პოლონეთი, ესტონეთი, უკრაინა, თერგი, ყუბანი, დაღესტანი, აზერბაიჯანი... ვინ მოსთვლის?

და და დაიწყო ხათაბალა ყველა ახლათ დაარსებულ სახელმწიფოებში.

ვერც ჩვენ ვალურჩით ამ სენს.

ჩვენი ხათაბაღ ბალა ის იყო ღ არის, რომ ვინ არ გინდა, ჩვენ საქმეში არ გავრია.

ჯერ ხომ გერმანელები მოვიდნენ. მერე ინგლისელები, მერე იტალიელები...

გერმანელებმა მოგვიტანეს ხათაბალა, ინგლისელებმა—ხათაბალა და იტალიელებმა უარესი ხათაბალა... თითქო ზურგზე აიკიდეს და ჩამოგვიტანეს ცეცხლის ფრქვეველი მთები ეტნა და ვეზუვი. ხომ გახსოვთ: ვეზუვიმ იტალიის მშვენიერი ქალაქი რომ გაანადგურა?

ეხლა იტალიიდგან მოტანილმა ვეზუვიმ გორის მაზრაში ასტეხა ხათაბალა: დაგვაქცია, დაგვანელა და აგვატირა.

დღეს კიდევ ახალი ხათაბალა ასტყდა ბათუმში.

რაღა ფიუმე და რაღა ბათუმი?

ჩვენ ვიძახით: ბათუმი ჩვენია. რუსი გენერალი ტერმენი და ვიდაც უტომო

ჯაფარიძე გაიძახიან: ბათუმი ჩვენი იყო ოსმალეთი ფიქრობს: ბათუმი ჩვენი იყო და ჩვენი უნდა იყოსო. რა საკვირველია? გემრიელი ლუკმა ყველას უყვარს. მერე ეხლა, როდესაც უგემური ლუკმაც კი ისე ძვირია, რომ სქამ და ყელზე გადგება.

რითი გათავდება ბათუმის საქე, არავინ იცის. მაგრამ ხათაბალური საქმე ხათაბალით უნდა გათავდეს.

ეს კი ვიცი, რომ ბათუმი ვისმეს ყელზე დაადგება.


შავგრემანი.



ქართველ მწერალთა მეორე ჟილობა.

29 თებერვალს „ქიმიერიონში“ გაიხსნა ქართველ მწერალთა მეორე ყრილობა. ყოველი ქართველი მწერლის გულში სა-მუდამოთ აღბეჭდილი იქნება ეს დიდი დღე. არც ერთ ერის მწერლებს არ ახსოვს, რომ ასე უტბათ ასე დაუძახებლათ ყრილობა მომხდარიყოს. წარმოიდგინეთ ყრილობის მოწვევის საკითხი მხოლოდ მარტო ოჯახურათ იყო გადაწყვეტილი, გაზეთებში არც კი გამოეცხადებიათ ყრილობის დრო და ადგილი, რომ 29 თებერვალს, „ქიმიერიონის“ დარბაზი მთელი საქართველოს მწერლებით გაიჭედა. (მხოლოდ ქართველი მწერლის მგრძობიარე გულს შეუძლია გაიგოს ის, რომ ყრილობა იყო დანიშნული და ამის შესახებ ჯერ არავინ არაფერი იცოდა). უნდა სიმართლედ მოგახსენოთ ქართველი ერის მატთანეში ასეთ ყრილობას თავის დღემი ადგილი არ ჰქონია. მთელი დარბაზი ერთ დიდ მხიარულებას წარმოადგენდა, ყველაფერი იცინოდა, ყველას სახე უღიმოდა, საცოდავი პატარა ქიმერებიც კედლებიდან ჩამოცოცებულიყვნენ ერთ კუთხეში მიჭუჭკულიყვენ და სიხარულისგან კბილ დაკრეჭილნი მისჩერებოდნენ მწერლებს.

როგორც ყოველთვის მთელ ყრილობას თავს დასტრიალებდა ნაფიცი კონფერანსიე პაოლო იაშვილი. ხანდისხან თითს პირში ჩაიდებდა და მთელ დარბაზს თვალს მოავლებდა, ეტყობოდა რაღაცას იგონებდა. მწერლები სულგანაბულნი მას მისჩერებოდნენ. ბოლოს ის



უცბათ გაჩერდა წამოახტა სკამს, ხელები გაშალა და წარმოხტა:

ბატონებო მიკვირს რათ ხართ მოწყენილი და მდუმარე მე მგონია საჭიროა ავირჩიოთ თავმჯდომარე.

თავმჯდომარეთ არ ივარგებს ეს პაოლო იაშვილი ისევ გირჩევთ ავირჩიოთ ჩვენი კოტე მაყაშვილი.

პაოლო სკამიდან ჩამოხტა და მთელ დარბაზში ასტყდა ტაშის გრიალი.

თავმჯდომარეს ადგილი დაიჭირა მწერალმა კოტე მაყაშვილმა. მან ნაზათ ჩაახველა, წამოდგა, უღვაშებზე ხელი გადისო და დაიწყო:

ბატონებო! ჩემისთანა ბედნიერი დღეს მთელ დუნიაზე არავინ იქნება, გრძობით აღვისილი გული ღამის ბუდიდან გადმოვარდეს, თვლები ცრემლებით მევსება როცა ვხედავ ჩვენი ქვეყნის ნალებს, ყველა ჩვენ მწერლებს (დარბაზს თვალს მოავლებს, ცხვირსახოცს ამოიღებს და ცრემლებს იწმენდს) დღეს აქ შეკრებილა ყველა ვისაც კი ოდესმე რამე დაუწერია, უბრალო ბარათიც კი.

დღეს ჩვენ აქ ვხედავთ ჩვენი საქართველოს ყოველ კუთხის მწერალს, აქ არის „სახალხო კავთის“ ქიზიყელი კორესპონდენტი, აქ არის „საქართველოს“ ოდიშელი ვაჭარი-კორესპონდენტი და სხვა. ეს ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ სანამ დღიურ წესრიგის შემუშავებას შეუდგებოდეთ მე საჭიროთ მიმაჩნია გავარკვიოთ შემდეგი საკითხი: ვინ არის ქართველი მწერალი და როგორი უნდა იყოს ის.

ამ საკითხის გარჩევაზე დამოკიდებულია ჩვენი ყრილობის არამწერალ ელემენტებისგან გაწმენდა. არის უბრალო, გაზეთის კორესპონდენტი ან ბარათის დამწერი მწერალი თუ არა. თუ ჩემი აზრი გნებავთ მოგახსენებ: ქართველმა მწერალმა აუცილებლათ უნდა იცოდეს ქართული წერა-კითხვა და ლაპარაკი, უნდა ქონდეს პატარა კუჭი, როგორც ქათამს და მის ოჯახში მუდამ ტირილი უნდა იყოს. აი ის სამი თვისება, რომელიც შეგვიძლია ჩვენ საზომათ ვიხმაროთ დღეს. შეგიძლიათ ილაპარაკოთ. (მიმართავს პაოლო იაშვილს) აბა პაოლო ვის ეკუთვნის სიტყვა.

პაოლო იაშვილი—(ხელებს გაშლის და ყვირის): „გზაზე ქალი მიდიოდა, თან მიჰყვანდა სამი შვილი, უეჭველათ სიტყვას იტყვის ჩვენი ტრიფონ რამიშვილი“.

(ამ სარკვევით ლექსის გაგონებაზე დარბაზი მქუხარე ტაშის ხმამ მოიცვა)

ტრიფონ რამიშვილი—(წამოდგება და მთელ დარბაზს ჰაეროვან კოცნას უგზავნის) ბატონებო! საკითხი, რომლის გარჩევასაც მე შეუდგები მეტად მარტივია. მე არ მიყვარს გრძელი ლაპარაკი და მოკლედ ვიტყვი: ქართველი მწერალი აუცილებლათ უნდა იყოს ფერწალი,

თუ მან ფერწლობა არ იცის ის მწერალი არ არის. ეს ფერწალი აუცილებლად უნდა ცხოვრობდეს დიდუბეში, იქ უნდა იყოს ჩამწყვდეული, რადგან წერისთვის დიდუბე ყველაზე უკეთესი ადგილია. უნდა აიყაროს ტრამვაის ლიანდაგი, რომ მას ქალაქში შემოსვლა აღარ შეეძლოს. იჯდეს იქ და სწეროს. ეს ჩემი შეურყეველი აზრია და სხვა თქვენ იცით ბატონებო (ტკბილად გაიღიმება და დაჯდება დარბაზი ტაშს უკრავს).

თავმჯდომარე—აბა პაოლო გააღე პირი და გამოუძახე შემდეგს.

პაოლო იაშვილი—(ხელებს გაიშვერს და ეტყობა ცდილობს „ზურიელიძეს“ გადააჭარბოს ექსპრომტებში).

აქედანა გავიქეცი ბუფეტის წინ წავიქეცი, გადავახტი მუხაზეო სიტყვას იტყვის რუხაძეო.

(დარბაზი ამ დროს წარმოადგენდა მრგვლიან ცას, ბევრ მწერალს ტაშის ცემისგან ხელის გული გაუსვდა და სისხლის ნიაღვარმა მთლად შეღება იატაკი. კრება ხუთი წუთით შესწყდა - სანამ დახეთქილ ხელებს შეინვევდნენ. კრების განახლებისას სიტყვა დაიწყო ვარლამ რუხაძემ)

ვარლამ რუხაძე—(ადგება და იფხანს) ბატონებო ერთი შეხედვით აქ წამოყენებული რაკითხი თითქო ძლიერ მარტივია, მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდებით გავიგებთ, რომ ის მეტად ღრმაა. ვინ არის ქართველი მწერალი? ვინ უნდა იყოს ის? ამაზე მე დიდხანს ვილაპარაკებდი, მაგრამ რომ არ შეგაწუხოთ მოკლეთ მოვსჯი.

ჩემი აზრით მწერლისთვის საჭიროა შემდეგი: თუ გნებავთ რომ ნამდვილი ქართველი მწერალი გეყოლოთ შეიქნება თუ არა ბავშვი თორმეტი წლის: ოცი წელიწადი ის უეჭველათ სარდაფში უნდა დაამწყვდიოთ, რომ მან ვერ იხილოს მზის სინათლე და იქ თავჩაღუნული ეწეოდეს მძიმე შრომას. მხოლოდ ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულ ბავშვს შეუძლია მშრომელთა მდგომარეობის შესახებ ლექსების წერა და მათ ჭირ-ვარამზე ჩივილი.

ამ ოცი წლის განმავლობაში მან მთელი ძალდონე უნდა შეალიოს მშრომელ ხალხს. შემდეგ უნდა ამოვიყვანოთ მზის სინათლეზე და დავაყენოთ უსათუოთ სტამბაში, რათა პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდეს მშრომელ ხალხთან, რომ მას დაუფასოთ ოცი წლის შრომა... მისი შრომის დაფასება უნდა გამოიხატოს შემდეგში: მშრომელი ხალხი მას უნდა ეძახდეს „ხაზინის“, ყოველი იქ მშრომელი უნდა შეუდგეს მისი სტამბის განადგურებას, რათა ბოლოს ისევ სარდაფში ჩაძვრეს და იქ განაგრძოს ძველებურათ მუშაობა.

მე ვათავებ (ერთს ძლიერათ მოიფხანს და დაჯდება).

თავმჯდომარე—(ღიმილით) ბატონო ვარლამ თქვენ ძლიერ გააგრძელეთ სიტყვა.

რუხაძე—გავაგრძელებ კი არა ნახევარი

არ მითხვამს რაც უნდა მეთქვა მობრძანდით ჩემს სტამბაში და გაიგებთ ჩემი ფერს.

თავმჯდომარე—აბა პაოლო გამოუძახე შემდეგს.

იაშვილი—(ძლიერათ ყვირის) ქუჩა ქუჩა დავდიოდი უქულო და თავშიშველი ეხლა სიტყვას ალობათ იტყვის ჩვენი საშა აბაშელი.

ს. აბაშელი—(წამოდგება გაჯავრებული და სხაპა-სხუბით ამბობს): ჩქიმი ცოდვა ჩქიმი ბრალი მტერს დაუდგა ორივე თვალი ოხ ღმერთო რა მენატრება ლობიო და „ჭიჭვი“ მხალი?!

ბატონებო! იცით ვის უნდა ვუწოდოთ ქართველი მწერალი? მას ვინც ნატვრაში დაიბადება და ნატვრაში მოკვდება. ქართველი მწერალი უსათუოდ უნდა იყოს ან მოხელე, ან მილიციონერი, ან მეწისქვილე ან სხვა. ხორცის რა მოგახსენოთ და ლობიო და მხალი კი მუდამ უნდა ენატრებოდეს. თუ მაძლარი კუჭი ექნა მწერალს ის თავის დღეში ვერაფერს დასწერს. თუ პოეტი გინდათ გყავდეს მან მაგიდის მაგიერ აუცილებლათ ტაბურეტკაზე უნდა სწეროს. ეს ძლიერ სასარგებლოა ლექსის წერის დროს. ქართველ მწერალს არ უნდა ჰქონდეს არც ერთი კბილი; უნდა იყოს ყრუ და ბრმა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლება მას თავის მოთხოვნების დაკმაყოფილება და მთელ თავის დროს წერას მოანდობებს. ყველა ეს მიიღეთ ბატონებო მხედველობაში. (დაჯდება).

თავმჯდომარე—აბა პაოლო შემდეგი. **პაოლო** (დიდათ აღფრთოვანებული ხელებს გაიშვერს გრიშაშვილისაკენ).

არ მყავს ცოლი არ მყავს შვილი სიტყვას იტყვის გრიშაშვილი.

გრიშაშვილი.— კოჭი, მუხლი, ყბა კისერი, ჩავკოცნე და დავითვერი, ქართველ მწერლებს ენაცვალოს ერი, ბერი, ყველა შტერი.

ბატონებო! იცით ქართველი მწერლისთვის რა არის საჭირო? ქართველი მწერალი უსათუოდ უნდა ცხოვრობდეს ხარფუხში. რადგან ის ჩვენი დედა ქალაქის აზიური ნაწილია და აზია კულტურის აკვანია. ის აზია სადაც ეხლა ბალშევიკების სოციალიზმი იბადება, იქ უნდა გაამაგროს თავის ქორთა ნიჭი და შემდეგ გადმოვიდეს ქალაქის ევროპიულ ნაწილში. ხარფუხში საჭიროა ცივი ოთახი ხმელი პური და მღვრიე წყალი. ვინც ამ ეტაპს გაივლის ის იქნება ქართველი მწერალი. (დაჯდება). ლაპარაკობენ აუარებელი მწერლები და კორესპონდენტები, მაგრამ ერთი გარკვეული აზრი ვერ გამოაქვთ. ბოლოს პაოლო იაშვილი დგება და ყვირის):

პ. იაშვილი. ბატონებო! (შეპროწიადლება და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი

დგებიან და ხელებს ათამაშებს. ყველანი



მხიარული თვალებით მისჩერებთან, მღერის).

ჩიკი ჩიკი, ვახე ვახე
ერთი ვინმე დავინახე
(ხელს უქნევს)
მაგრე განზე რათ გამდგარხართ
მოლით აქეთ ახლოს გვანახე.
ვახე ვახე, ჩიკი ჩიკი
მოვიწვიოთ ბუფეთჩიკი.

(წავა ბუფეთისკენ ხელგე გაშვერილი).
თავმჯდომარე (მიმართავს ბუფეთჩიკს)
გთხოვთ მობრძანდეთ დაგვეხმაროთ ამ
თავსატეხ კითხვის ვადაწყვეტაში. (პაო-
ლოს ხელგაყრილი მოყავს ბუფეთჩიკი).

ბუფეთჩიკი—(მოვა და მორცხვით ჩა-
მოჯდება სკამის კიდეზე, მთლად დაჯ-
დომას ვერ ბედავს. ჩაახველებს და გაუ-
ბედავი ხმით, თითქოს ეშინიაო ვადახე-
დავს ყრილობას) სალაში თქვენ დიდე-
ბულო სტუმრებო (თავისთვის) სალაში
კი არა ნაცარი ცხელი, რამდენი მშობერი
შეყრილა ეს ოხრები, თუ დიდხანს დარ-
ჩენ და მოშვიდათ ვაი ჩემი ბრალი მაგი-
დებსაც დამიხრავენ. თორემ საქმელს ვი-
ლა ჩივა.

თავმჯდომარე—ბ. ბუფეთჩიკო! თქვენ
გამოცდილი და მრავალ ქალაქებში ნამ-
ყოფი კაცი ბრძანდებით. გვიშველეთ ერთი
საკითხის გარჩევაში. ვინ არის ქართველი
მწერალი?

ბუფეთჩიკი—(მორცხვით) არა მე რა
კითხვის ვადაწყვეტი ვარ, ბატონებო.
მართალია მრავალ ქალაქებში ვყოფილ-
ვარ და მრავალ ხალხთან მქონია საქმე,
მაგრამ მწერლებთან კი თავის დღეში არა.
მე მხოლოდ ამ ჩვენ „ქიმერიონში“ მაქვს
ბედნიერება მწერლების გაცნობისა და
ხილვისა (თავისთვის) ნეტა ორივე თვა-
ლები დამდგომოდა და თქვენ არ გამე-
ცანით. თუ მაინცა და მაინც ჩემი აზრი
გნებავთ გაიგოთ ერთი შემძლია ვსთქვა:
ქართველი მწერალი ასეთ რესტორანში,
როგორც „ქიმერიონია“ არ უნდა ჩა-
მოდიოდეს, რადგან აქ კარგი საქმელები
კეთდება, აწყენს როგორც მწერალს ისე
მე თქვენს უმორჩილეს მონას. ქართველი
მწერალი უნდა დადიოდეს სამიკიტნოში
იქ უფრო დემოკრატიული საკვები არის
და უფრო არგებს მწერალს. (ყველანი
ტაშს უკრავენ. ბუფეთჩიკი ადგება და მი-
დის თავის ადგილას. ისმის აქეთ-იქიდან
„კითხვა გამორკვეულია“ ყველანი წამო-
იშლებიან).

თავმჯდომარე—(გაცხარებული ხარს
რეკავს) ბატონებო! ერთი წუთი კიდევ.
(გაჩერდებიან და ყურს უგდებენ) ჩვენ
საბჭოში შემოვიდა საჩქარო და ფრიად
მნიშვნელოვანი თხოვნა, ჩვენი პოეტი
ბლაგვაძე ცოლს ირთავს და 20.090 მ.
სესხს თხოულობს. მივცეთ? (ისმის ყვი-
რილი: „აუცილებლათ მიეცეს! მაშ უცო-
ლო ხომ ვერ იქნება). კარგი მივცემთ.

ერთი უკანასკნელი კითხვა. ბატონებო!
რაკი კითხვა საბოლოოთ ვერ გამოირკვა
დავადგინოთ ვაფუგზავნოთ საანკეტო
ფურცლები ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს
და მათი აზრიც გავიგოთ ქართველი
მწერლის შესახებ. ეს მეორე კრებაზე
კითხვას ვაგვიადვილებს.

ყრილობა ადგენს დაგზავნოს საანკე-
ტო ფურცლები. შემდეგი კრება დაინი-
შნა 2 აპრილისთვის. მწერლები წაშოი-
შალენ და ბუფეთჩიკს და ბუფეტს ალყა
შემოარტყეს.

ირეთელი.



„ხათაგალას“ კუკლები.
(„ვაი-ვუის“ ხმაზე)

პირველი—გამარჯობა შენი,
რას მეტყვი ახალსა
როგორ უძლებ ძმაო
ამ ვაი ვაგლახსა?
ვაი, ვაი და სხვ.

მეორე—დიდი ხანი გეძებ
დარდი მინდა ვითხრა,
ამდენმა ნაღველმა
ტვინი გამომიხრა.

პირველი—მეც დაგეძებ და დღეს
მიტომ მოველ აქ მე
მიტხარ როგორ მიდის
შენი სახლის საქმე.

მეორე—სახლის საქმეს ძმაო,
ნულარ მკითხავ, კმარა,
„უილიშნი ატდელმა“
გარეთ გამოგვყარა.

პირველი—მეც უბინოთ ყოფნით
დღეები დამთვლია.
ჩემს სახლში კი ცხოვრობს
კომისრის ნათლია.

მეორე—ჩვენი კომისარი
სადაც კი შეძვრება,
თავის ჯიბისათვის
„ისემესა“ შვრება!

პირველი—შეიცვალა წესი
დროება სულ წახდა
„საპოფნიკი“ სტეპკო
ფუტურისტი ვახდა!

მეორე—„პოვარი“ პოლოსა
ახლა აღარ პოვრობს,
მისიის „ჩლენია“
„ორიანტში“ ცხოვრობს!

პირველი—დღეში რვა მისია
მოდის და ბრუნდება
და ჩვენი ბონები
ბანკეტებს უნდება.

მეორე—ვინც კი მოდის ძმაო
ყველა პურს გვპირდება,
მაგრამ პური მაინც
ყოველ დღე ძვირდება.

პირველი—გაგწყდი წელში კაცი,
ველარაფერს ვაწყობ
ფქვილს რომ ვერ ვყიდულობ,
ნახერხის მქადს ვაცხობ!

მეორე—ჩვენ ევროპამ გვიცნო
ბოლშევიკმა ვერა,
ნახე! ჩიჩერინმა
მუქარა მოგვწერა.

პირველი—დენიკინიც ახბერ
ვგრძნობ—წააგებს ნაძღვეს,
დღემდე თუ იღებდა
დღეს აძღვეს და აძღვეს.

მეორე—ჩვენი ქვეყნის მტრები
კიდევ თავსა ჰყოფენ,—
ვადამთიელები
ქონებას გვიყოფენ

პირველი—ბათუმის გარშემო
რაღაც ხმაურს სტეხენ?
მაგრამ ყურში გეტყვი:
კისერს მოიტეხენ.

მეორე—ამ მიწის ძვრამ ძმაო
ქირი ვაგვიდიდა
ყველას წინ და უკან
ყულაბა დაჰკიდა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოკავშირეთა საქაჩავი.

ნათლი-მამა, გინდ ღუშმანი,
გინდ პარტიულ-მაჩანჩალო,
სულ ერთია, ყველას კარზე
მომდგარია „ხათაბალა“

და შხანკოლაც ცოცხალი ვარ,
სალამს გიძღვნი „ხათაბალას“.
მოგილოცავთ მდაბიო ხალხს —
მიემატა თქვენსა ძალას.
შხანკოლა.



მესტვირული.

(სადღეისო ლილინი).

სტვირი რომ არ დამიკრავს
სამი წელიწადია,
თუმცა გულით ლილინი
ძველებურათ მწადია,
მაგრამ როცა ჩემს სახლში
არც ლომი, არც მკადია,
ალარც ჭყინტი ყველია,
ალარც ლორის მწვადია.
ძალი დაწოლილი ყვეს,
კატა ჭყავის ხეადია,
ქართმები გავერულდენ
და დაეძებს გადია.
სახარჯაგზედ მარტოთ ვარ,
ჭამაზედ მყავს ნადია,
საშოვარზედ ყოველ ღღე
წამოდი და წადია.
ტანსამოსი გამიცვდა
გროშიც არ მაბადია,
(ჩემი ზამთრის საბანი
ქეჩა და ნაბადია).
გაჭირვება რო გადგას
ბევრჯელ დანაცადია,
მაშინ ტკბილად ლილინსა
ვერ შეიძლებ ცხადია.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(კიათურისათვის)

წინად ყოფილი მწარმოებელი,
ქვის წარმოებით „მოითბო ხელი“.
„ნასათიბარში“ მადარო ჭქონდა,
(ამახწინაზეგ წამოაგონდა...)
„ხაზეინობით მოქონდა თავი,
მუშებს მრავალ მხრივ გაამძღო ტყავი.
მაგრამ იცვალა საწუთრობა,
(ვის შერჩენია ერთი დროება?..)
ცხრაას ხუთი წლის რომ დადგა ხანა,
იმასაც „წინვა გამოუყვანა...“
ეხლა რომ ვითხდით, სხვათ მოაქვს თავი,
(სხვა გზა მოძებნა გამოსახრავი...)
და ზოგჯერ იმ ზომ გაიბერება,
კრილოვის „ბაყაყს“ შეეფერება,
„პუბლიცისტობის“ სახელს ატარებს,
მასთან აქანქვრას არ დაიზარებს,
გილსაც დაგწამებს, არ უნდა ვითხვა,
უყვარს ინტრიგა, მართალთ გაკიცხვა;
ბორბოტ-ავსულებს მხარსაც დაუჭერს,
(ამაში მტრებიც ხუთებს დაუწერს!..)
ერთ დროს არტელის მუშებს სტუმრებ-
და,
ხან თვით დაეობდა, ხანაც ყურობდა.
და ხშირათ მათთან ანთხევდა ჭორებს,
(ამა კუზიმნს ვინ გაახწორებს?..)
მაგრამ მიუხვდენ თუ რათ დასჭირდა
მით საქმეც ვედარ მოკვარაჭინდა.

რასაც ცდილობდა შეექნა ფუჭი,
რომ სულ იმისთვის ეწოდა კუჭი,
რასაც „ებრძოდა“ იგი ვითომდა,
აქ წყალს ამდვრევდა, იმედიც ქონდა.
მაგრამ გაუშვა ტრფობის საგანი,
(კოვზსაც ნაგარში მოძვრა ტყაპანი).

დღეს კი, იკურთხვს განგება დვთისა,
მუნ ლაქიობა რომ შეითვისა, —
მეისვე გაუჩნდა დამხმარე ხელი,
და გაიხარნა მით საქმე მხელი...
თუ რას აკეთებს — ნუ ვითხავთ ტყულა,
მადალ პოეტზე კი წამოხკუბულა...

ბზია.

სალამი „ხათაბალას“.

არ მომკვდარა, სძინებია
და ისევა გაიღვიძა,
მდაბიო ხალხს ვინც ატკობდა
და უვლიდა როგორც ძიძა.

კვალად ძრწოდეთ მაგნე სულნო, —
თქვენი დარი შეიშალა,
თქვენი მზეი ჩაესვენა —
აღმობრწყინდა „ხათაბალა“.

ეხლა სოფლად ცხოვრება
მეტად გასაჭირია,
ალარ იცი რა მოგკლავს
სად რომელი ჭირია.
ექიმი რომ იშოვო
მიყვანა არ გჭირია?
ოცი თუმანი ფასობს
ცხენია თუ ვირია.
ჩვენი აფთიაქრებიც
სულმთლად გადიარია,
ორი რეცეპტი მქონდა
სხვა და სხვანაირია,
მაგრამ თურმე წამალი
იმოდენა ძვირია,
როცა ფასი გავიგე,
ავაბზუფე ცხვირია.
ლამის იქ დავაწინდრე
ჩემი გულა სტვირია
და ერთიც ვერ ვიყიდე
დავრჩი ანატირია.



ბენია და ბეშტია.

ველარავის ვეღერ ვცნობ
ვინ როგორი კაცია,
(არც ჩვენიანი გვინდობს,
ალარც სხვაი ნაცია)
ყველას ტანზე შინელი
სალდათურად აცვია,
ულვაში შეუკრეჭავს,
წვერი მოუპარსია.
ვინც ჩოფანო მეგონა
დღეს იგი მამაცია,
ფული იმას მეტი აქვს,
ვინც უფრო ზარმაცია.
ჩვენი ავლა-დიდება
მათი მოსატაცია.
(ალარც ნიხრი სჭირდებათ
და არც რაზე ტაქცია).

ყველა ჩარჩი შეიქნა
ერია თუ ბერია.
(სამსახურში ის არის
ვინც რომ დასაჭერია).
გუშინდელი ლაჩარი
დღეს კი ღონიერია,
(ლომი ისე დავლახდა
კატაც კი მოერია!)
ვინც მოკეთე მეგონა
თურმე ჩემი მტერია,
მეზობელი მემღურის
მუშტი მოუღერია.
და რომ იგიც არა მყავს
(ვინც რომ მშვენიერია),
მაშინ ჩემი სიმღერა
რალა დასამღერია?!

გურიანთელი.

(თორმეტი წლის უნახავი მოულოდნელათ შეხვდებიან ერთმანეთს რუსთაველის ქუჩაზე. ორივე ისე გაოცებულია ამ შემთხვევით რომ ვერც ერთს ხმა ვერ ამოუღია და პირდაღებული ერთმანეთს მისჩერებიან. ბოლოს ბეშტიამ აამოძრავა დაღუმებული ენა).

ბეშტია—(გაოცებული, თვალებს არ უჯერებს) წმინდა არს, წმინდა არს! (პირჯვარს იწერს) თუ მოჩვენება ხარ გაქრი! ფუი ეშმაკს! (სულს შეუბერავს).

ბენია—(გადანხარხარებს) ფუი კი არა ის არ გინდა? მე ვარ ბენია, შენ კი ბეშტია. განგებამ კიდევ ერთად შეგგყარა. მოდი, მოდი ძმურათ ჩაგებვიო. (გადაეხვევიან ერთმანეთს).

ბეშტია—იმე! რავა დევიჯერებდი, რომ კიდევ დაგინახავდი. ჩემს ამბავს, რომ მოგიყვებ შეიშლები როგორ გადავრჩი ცოცხალი.

ბენია—საიდან გაჩნდი, ან ამდენხანს სად იყავი?

ბეშტია—ეჰ, ძმაო! ასე აღვილათ ენა ვერ იტყვის რაც მე გადავხდა. მთელი თორმეტი წელიწადი რუსეთში ვიყავი და ერთი კვირაა რაც ჩამოვედი.

ბენია—ახლა ჩემს ამბავს არ იკითხავ სად ვიყავი? მთელი ოსმალეთი შემოვიარე და ეს ორი კვირაა აქ ვარ.

ბეშტია—(ყურში უჩურჩულებს) კომუნისტი ხომ არ ხარ?

ბენია—(თავს უქნევს და ისიც ჩუმით ეკითხება) შენ?

ბეშტია—(თავს უქნევს).

ბენია—მაშ მოდი საქულას სარდაფში ჩავძვრეთ და იქ უამბოთ ერთმანეთს ჩვენი თავგადასავალი.

(ორივე ხელი ხელ გადახვეული გასწევენ სარდაფისკენ.

მღვდელი და დიაკვანი.

(ხალხური იგავი) მარტოხელი დიაკვანი

ერთხელ მღვდელი და დიაკვანი
წაენხუბა—შე გლახაო,
არაფერი გაგეგება
სამოწყალოთ გინახაო.
საკურთხით და ქვლეხებით
იტენები ჩემსავითო,
უჩემოთ კი ხმას ვერ იღებ
ისე დგებარ ხესავითო.
მხოლოდ ორი სიტყვის მეტი
ვერაფერი ისწავლეო,
მუდამ ასე გაიძახი:
„უფალო შემიწყალეო“.
მე კი სხვა ვარ, ხალხის მამა,
მის სამსახურს ვკისრულობო
და ყოველ დღე ახალ-ახალ
სახარებას ვკითხულობო.

დიაკვანმა უპასუხა:

„მართალი ხარ შენ მამაო,
ეს გალანძღვა არ მეწყინა
და კიდევაც მიამაო.

დიაკვანი სად იქნება
შენოდენა ნასწავლიო,
(გულში ფიქრობს, დამაცადე,
მე შენ ჰკუას გასწავლიო)“.

ერთ კვირა დღეს, როცა მოძღვარს
წირვა უნდა წამოეწყო
და თავისი სახარება
უკან, მაგიდაზედ ეწყო,
დიაკვანმა შეუმჩნევლათ
მიიპარა როგორც ქურდი
და წიგნიდან ამოიღო
ჩადებული პრასის კუდი.
თითონ უკან გამობრუნდა,
ისე არავის დაუნახავს,
გულში მეტად უნარია,
რადგან იცის სეირს ნახავს.

მოძღვარმა კი გადაავლო
იქ მლოცველებს თვისი თვალი
და ხმა მალლა წამოიწყო
სახარების შესავალი:

რქვა უფალომა,—მან ზეპირათ
დაიძახა ორი სიტყვა
და უკანვე გატრიალდა,
რომ დაიწყოს შიგნით კითხვა.

სადაც მქონდა დანიშნული
იქ დაიწყო პრასის ძებნა,
მაგრამ, რაკი ვეღარ ნახა
მას დავთრები სულ აებნა.

გაცხარებით ეძებს მღვდელი
და აცეცებს სიმწრით თვალებს,
(დიაკვანი ილიმება,
მას შორიდან უთვალთვალებს)



რქვა უფალომა, — ყვირის მღვდელი,
ხელებს უფრო აფათურებს,
მლოცველები სულ გაშტერდა
ამ სანახავს რომ უყურებს.

გაიფიქრეს: ნეტავი რამ
გადარია ეს ხუცესი?
რალა ეხლა დაავიწყდა
ლოცვები და წირვის წესი?!

რქვა უფალომა, — ერთხელ კიდევ
მოძღვარმა რომ დაიძახა,
ღიაკვანმაც ხალხისაკენ
მიიბრუნა თვისი ხახა

და შესძახა: ჰკითხეთ ხალხნო
ღმერთმა რა სთქვა იმისთანა,
ეს ხუცესი რომ არ ამხელს,
დასამალი არის განა?

მღვდელი მიხვდა რაშიც იყო
მისი საქმე, ეს წამთარი
და საშინლად გადირია,
წამოვარდა ვით აფთარი,

იქ კუთხეში მიყუდებულ
დიდსა კეტსა სტაცა ხელი
და ღიაკვანს გამოუდგა,
როგორც ცოფიანი მგელი.

დაიყვირა — ღმერთმა ის სთქვა,
ღიაკვანი მოკალიო
და მე მღვდელი აღარ ვიყო
თუ გაგიშვა ცოცხალიო.

ხალხმა მოძღვარს სტაცა ხელი,
არ გაუშვა, დაიჭირა,
თუმცა ძალა მოიხმარა,
რა ისტუნა, რა იყვირა,
მაგრამ მაინც გააჩერეს,
გამოართვეს ხელში კეტი

და იძახდენ გაგიჟდაო,
ან რა ეთქვათ ამის მეტი?

ღიაკვანმა გაბაწრულ მღვდელს,
რომ შეხედა — მიაძახა:
არ მინახავს სხვაი მღვდელი
შენისთანა, კაცის გლახა.

განა მართლა უნდა მომკლა,
რომ შეგწევდეს მეტი ღონე?!
სადაც შენი იტრაბახო
იქ კი ჩემიც მოიგონე.

მათრახოსანი.



აირია მონასტერი!

ვა, ხალხნო, როგორ გამრავლდა ეს
პორმანიანი ხალხი! რანაირად გაიფლდა
ეს რალაც პორტმანია, პრამათ წიწმანის
ფასათ გახდა რალა!

ისეა საქმე, მგონია, ერთი პორტმანი
მეც კი ამოვიჩარო იღლიაში.

ვა, რატომ ღმერთი არ გაიცინებს,
რომ შემწვანილვე ვართაპეტას ბიჭსაც
პორტმანი ეჭიროს ხელში!..

ვა, ვა, ვა! არც ზღვაში მინახავს იმ-
დენი თევზები, არც რიყეზე — იმდენი
კენჭები, არც ზეცაში იმდენი ზვეზლები,

რაც დღეს ქვეყანაზე გოსუდარს
რესპუბლიკებია! ეს უკრაინცკიო, ეს ფი-
ლანცკიო, ეს ციმბირცკიო, ეს ველიკო-
რუსკიო, ეს ღონცკიო, ეს ასეტინსკიო,
ინგუშსკიო, ლეზგინცკიო. ადერბეიჯანც-
კიო, ეს არარატსკიო, ეს გრუზინცკიო!..
ერთი სიტყვით ისე დაირიგეს ეს რუსკი
გოსუდარსტვა, თითქოს ვოგრაჰამიანთ
ამბარცუმას ქელების ლავაშიაო!

ქრისტიანო, ქვეყანა სარქვა. ამ ნასწავ-
ლების გაყოფ-გამოყოფას რომ უყურებენ
ეს უსწავლელი ხალხი ისინიც იმათ პრიმერ-
სა ლებულობენ და აჯაფსანდალივით ირე-
ვიან და იწეწებიან ყველანი!

კაცო, ჯერ მე რანაირათ დავიღუპე
და დავიქეცი კაცი! როგორ ამომივარდა
ოჯახი, სადსემ გავნადგურდი რალა! ქვეყ-
ნის დაქცევას ვიფიქრებდი და თუ ჩემი
ყიყვიანი სონა მე მამშორდებოდა, ის კი
არ მეგონა!

კაცმა რომ სთქვას არც გასამტყუნარია
მე და ჩემმა ღმერთმა. შეხედა რომ ყვე-
ლა ცალკე გარბის, ყველა იყოფა, ყვე-
ლა ახალ ხელმწიფეს ისომს... ისიც გა-
ბრიყვდა, იმანაც სხვის პრიმერს შეშხედა
და სულ ნეაფიდანათ სამოსტაიატელნობა
გამამიცხადა. ისიც ცალკე რესპუბლიკას
იარსებს და საცაა სობსტენი ხემწიფესაც
წამოისომს!...

გოგია.

ეოველაკვირეული, საოხუნჯო ჟურნალი

„ს ა თ ა ბ ა ლ ა“

მასში დაიბეჭდება მხოლოდ სახათაბალო მოკლე წერილები.
მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მიმართულების ოხუნჯ მწერალს, თუ მისი ნაწერი სამართლიანათ
შეეხება რაიმე უკანონობას.

ყოველი წერილის პასუხის მგებელი არის თვით ავტორი. რედაქცია ავტორის ეინაობას საიდუმლოთ
ინახავს, ხოლო თუ რომელიმე ავტორი შეცდომაში შეიყვანს რედაქციას და ტყუილ ცნობას მოათავსებს შიგ,
როცა ეს გამოირკვევა კულტურული საშვალგებით, იმ შემთხვევაში რედაქცია საჯაროთ რიცხავს ავტორს
თანამშრომლობიდან.

„ხათაბალას“ რედაქცია სთხოვს ქალაქისა და პროვინციის თანამშრომლებს, მოგვაწოდონ როგორც
წერილები, ისე საკარიკატურო პირების სურათები და დახატული კარიკატურები.
ადრესი: სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს (ხათაბალასათვის).



„ხათაბალას“ ძალა

(პროვინციებში)

სოფლად ამბავი მოვიდა:
დღეს „ხათაბალა“ მოდისო,
ამბები მოაქვს გოდრითა
ახალ-ახალი მოდისო.
გაიძვერას და ჩარჩებსა
ის არ მოუხთის ბოდიშსო,
მაგრამ სად არის, რომ არ სჩანს,
როდის გვეღირსოს, როდისო.

ყველა სადგურებს სოფლიდას
ხალხი მოწყდა წყებათა,
პატარ-პატარა ჯგუფები
შეიქნა მოზრდილ კრებათა,
ელიან „ხათაბალას“,
გადიქცენ მოთმინებათა,
(იმისი ხელში დაჭერა
მათ მიანჩიათ ქებათა).

გამოჩნდა კიდევ ჟურნალი,
შეიქნა ხალხში წრიალი,
მოედვა არე-მარესა
მისი ფურცლების ფრიალი.
ზოგი ხმა-მალლა კითხულობს,
ისმის სიცილი—ხრიალი,
ზოგმა კულ-ამწვარ პირებმა
იწყეს თვალების ბრიალი.

მთელ სოფელს „ხათაბალამა“
მართლაც მოჰფინა ელფერი,
არ ვარგა ჩუმი ცხოვრება,
მიღუნებული, ერთფერი.
მან ყველა გამოათხიზლა
ესდევია თუ ესფერი,
(„ხათაბალას“ ძალასა
ვერ შეედრება ვეფერი).

წკიპარტი.

ს. სუსსა.

ვინც არ იცის ჩვენი მღვდელი
და თან ჩვენი დიაკვანი,
(ჯოჯოხეთის მუგუზალი
და იმისი მინაგვანი),

იგი კი არ დაიჯერებს,
რომ უამბო მაზედ რამე,
(თუ მე როგორ წამამწარეს,
ჩემი ჯვარის წერის ღამე).

ეკლესიაში შავედით,
ჯვარი უნდა დაგვეწერა,
(მორწმუნე ვარ მე საწყალი,
ცოლი ისთე კი არ მჯერა),

მაგრამ ხუთი თუმნის მეტი
ჯიბეზედ არ მქონდა ბისტი,
(მე ხომ არ ვარ კომისარი,
ანდა ვინმე შანტაჟისტი?)

მღვდელი თავის დიაკვანით
ვხედავ; გარედ არ გამოდის!
(საკურთხეველში დამჯდარან,
ფოკუსია ახალმოდის!).

მივედი და შევეკითხე,
მითხრეს: გვინდა საფანელი,
გაუწოდე ჩემი ფარა),
მაგრამ არ მოჰკიდეს ხელი).

მღვდელმა მითხრა: ასიანის*)
ნაკლებ, ჩვენ ზედ არ ავდგებით,
ვინდ სიმინდი მოგვიტანე,
მხოლოდ ორ ფუტს დაგჯერდებით.

*) ეს ამბავი მოგვიანებით იბეჭდება და
ესლა ეს ნორმა გადიდებული ექნებათ ერთი
ხუთად.

რედ.

დიაკვანმა დაიყვირა:

სიმინდი რათ მოვიხმაროთ?
უნდა ფქვილად მოგვიტანო,
ორი ფუთი თუ ვიკმაროთ.

მანამდე კი ჯვარს არ დაგწერთ
დილამდისინ რომ იცადოთ,
(მარტო შენზედ ხომ არ ვშობით,
აგრე არის საზოგადოთ).

რას ვიზამდი, მოვიტანე
ზურგით ფქვილი, ორი ფუთი,
დატრიალდა ჩვენი მღვდელი,
არ გასულა ხუთი წუთი,

ხელად ჯვარი გადაგვეწერა
და გაგვხადა ბედნიერი,
მაგრამ ესლა მე და ცოლი
ორთავენი ვართ მშიერი.

არც მჭადი გვაქვს, აღარც ღომი,
კუდათ არის ჩვენი ყოფა,
(ჯვარი კი გვაქვს დაწერილი,
მარტო „იგი“ თუ გვეყოფა).

მღვდელი დადის გაშიშული,
დიაკვანიც იმას დასდევს
და ჩემსავით ბედნიერსა
ხლიან ტუტუც ახალგაზრდებს.

მე თუ მკითხავ, მართალ კაცის
საქმე ესლა წახდა სწორეთ,
მეფე ძირში დავანარცხეთ
და წოდება გავასწორეთ,

ეს ხუცესი ჩვენს კისერზედ
მაინც ქვა დასკუპული!

დიაკვანიც იმას ბაძავს
უნამუსო,

დაღუპული.



უკანასკნელი „ხათაბალა“ პარლამენტში.